ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№14 (48) აპრილი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აპრილი—ჩვენი ტკივილი და... სიამაყე

გოდება გვმართებს უმანკო ხიხლის

ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და გულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა—1989 წლის 9 აპრილი. როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეები მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს ერთიანობა, მთლიანობა, თავისუფლება და გულისწადილი ქვეყნის გასაგონად გამოხატეს.

თავისუფლების წყურვილმა გამოიყვანა ხალხი ქუჩებში სწორედ, ამ სურვილის ჩახშობა მოინდომეს ბოროტმა ძალებმა.

გოდება გვმართებს უმანკო მსხვერპლთა გამო, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მათი სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა...

***

ჩვენს პატარა ქალაქშიც გაიხსენეს 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლნი. რაიონის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ეგიდით ქალაქის ცენტრში არსებულ მემორიალთან ღონისძიება მოეწყო. №1 და №2 საბავშვო ბაღების აღსაზრდელები გულანთებულნი წარმოთქვამდნენ ლექსებს, იყო უამრავი ყვავილი. მათი პაწია ხელებით დანთებული სანთლები თითქოს სხვანაირად ციმციმებდნენ. ღონისძიებას ესწრებოდა რაიონის გამგებელი ვახტანგ კერესელიძე და გამგეობის წარმომადგენლები.

ეკა ყვირილიანი



„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დაძლიერ ყოველნი და სიცოცხლეთა ძისათა ცხოელებისა ძიძინჭებელ.„

სოფლიად ძართლებდიდებელმა საქართველომ საღდგომო ლოცვითა და ძახვით გახარებული მჯმენელობა დღეები, 23 აპრილს ოდიდესი დღესასწაულით—აღდგომით გაიხარა.

ვილოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

სტუმრები სასამართლოში

რაიონში განთავსებული ცაგერის სასამართლოს შენობა და მისი ეზოს ფასადი არაერთხელ გამხდარა ჩვენი ყურადღების ობიექტი, თუმც იქ ისე სწრაფად მიმდინარეობს სასიკეთო ძვრები, თითქმის ყველა ნომერში მოგვიწევდა ალბათ მათზე საუბარი.

ამჯერად ჩვენი სტუმრობა რაიონულ სასამართლოში მაღალი რანგის სტუმრების ჩამოსვლით იყო განპირობებული. სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონი ლეილა გურგუჩიანი ჩვეული ენერგიით და განწყობით მასპინძლობდა საქართველოს უზენაესი სასამრთლოს თავმჯდომარეს ბატონ **კოტე კუბლაშვილს**, უზენაესი სასამართლოს აპარატის ხელმძღვანელს **გიორგი ბერძულს** და სხვა თანმხლებ პირებს. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ბატონი **პაატა კიკვაძე** და ცაგერის რაიონის გამგებელი **ვახტანგ კერესელიძე**.

სტუმრობის ძირითადი მიზანი ცაგერისა და საერთოდ მხარის სასამართლო ბაზების დათვალიერება იყო.

ქალბატონი ლეილა გურგუჩიანმა მათ სტუმრობას დიდი იურისტის, სახელოვანი ლეჩხუმელის ზურაბ ახვლედიანის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაც დაამთხვია და რაოდენ საამაყო იყო ისიც, რომ მის გახსნას ბატონი ზურაბის ძმისშვილი, უზენაესი სასამართლოს აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე, ლეჩხუმელი ახალგაზრდა, **მამუკა ახვლედიანიც** ესწრებოდა.

აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ სტუმრები, მათთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ცაგერის სასამართლო უწყება სრულიად აკმაყოფილებს სტანდარტებს არა მარტო ტექნიკური ბაზით, არამედ კადრებითაც და რომ იგი თითით საჩვენებელია მთელს საქართველოში.

ჩვენი გაზეთი რა თქმა უნდა ვინმეს ჭკუის სწავლებისაგან თავს შეიკავებს, ის კი ნამდვილად გვინდა ვთქვათ – თუ საქმე სასამართლო გაერთიანებებზე მიდგება, ცაგერის სასამართლოს ღირსეულად ეგების ეს ფუნქცია.

მარინა სვანიძე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით უფასო სასადილო გაიხსნა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით რესპუბლიკაში გრძელდება უმწეო მოსახლეობისათვის უფასო სასადილოების გახსნა–ფუნქციონირება.

ახლახანს ცაგერის რაიონში, სოფელ ლაჯანაში გაიხსნა სასადილო ამ ჯატეგორიის მოსახლეობისათვის, რომელიც მოემსახურება ლაჯანურის ხეობის უმწეო მოსახლეობას.

სასადილო გათვალისწინებულია ერთდროულად 60 ადამიანზე, ერთჯერადი ჯვებით, საკმაოდ მრავალფეროვანი მენიუთი და მომსახურეობის მაღალი დონით, რომელსაც მზარეული და მიმტანი, სულ სამი თანამშრომელი უზრუნველყოფს. სასადილოს ხელმძღვანელობს ბატონი **დემურ ახვლედიანი.**

სასადილოს გახსნას ესწრებოდნენ რაიონის გამგებელი ბატონი **ვახტანგ ჯერესელიძე**, გამგებლის მოადგილე ბატონი **თამაზ ქარსელაძე**, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ბატონი **ომარ ჭაბუკიანი** და სხვა სტუმრები.

უახლოეს მომავალში უფასო სასადილო ქალაქ ცაგერშიც გაიხსნება.

თამარ დავითულიანი

დიდი ისტორიული თარიღი

ფაშიზმზე გამარჯვების 61-ე წლისთავი

წელს ყველა ქვეყანაში აღინიშნება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 61-ე წლისთავი. 1945 წლის მაისში ფაშისტურმა გერმანიამ და ამავე წლის სექტემბერში იმპერიალისტურმა იაპონიამ თავი დამარცხებულად ცნეს და ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციას. დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი, გამანადგურებელი ომი, რომელიც 40 ქვეყნის ტერიტორიაზე მძვინვარებდა და 55 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მეორე მსოფლიო ომი ფაშისტურმა გერმანიამ გააჩაღა; 1939 წლის სექტემბერში თავს დაესხა პოლონეთს... მალე ვერმახტის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა მთელი დასავლეთი ევროპა, ნაცისტებს თავბრუ დაახვია იოლად მოპოვებულმა გამარჯვებებმა და 1941 წლის 22 ივნისს მუხანათურად დაესხნენ თავს საბჭოთა ქვეყანას, დაიწყო დიდი სამამულო ომი.

საბჭოთა სახელმწიფომ იცოდა, რომ გერმანია ემზადებოდა თავდასხმისათვის და ყველა რესურს იყენებდა თავდაცვის ძლიერების ასამაღლებლად. მაგრამ დროის სიმცირის გამო, სათანადო მომზადებული ვერ აღმოჩნდა, ამით აიხსნება წარუმატებლობა ომის პირველ ეტაპზე... 1941 წლის ზაფხულში მტერი სტალინგრადისკენ გაიჭრა, კავკასიის მთებში შეაღწია. ეს იყო ფაშისტური არმიების უკანასკნელი წინსვლა. სტალინგრადთან ჩაესვენა ვერმახტის უძლეველობის მითი. საბჭოთა არმიამ, დიდი მხედართმთავრის ი.ბ. სტალინის წინამძღოლობით, ბერლინის შტურმით დაამთავრა ძლევამოსილი ომი.

საბჭოთა მთავრობამ ერთგულად შეასრულა მოკავშირეებისათვის მიცემული პირობა,—გერმანიის დაცემისთანავე აღმოსავლეთში გადასროლილ იქნა ბრძოლაში ნაწრთობი საბჭოთა ჯარები, რომლებმაც გაანადგურეს მილიონნახევრიანი კვანტუნის არმია და ხელი შეუწყვეს მოკავშირეებს საერთო მტრის განადგურებაში. გერმანიის მოკავშირემ—იაპონიამ თავი დამარცხებულად ცნო. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი...

საქართველომ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში. 700 ათასამდე ჯანღონით სავსე ვაჟკაცი ებრძოდა მტერს ლენინგრადის და მოსკოვის მისადგომებთან, სტალინგრადთან, ორიოლის ფრონტზე, უკრაინის და ბელორუსიის, შემდგომში ბალკანეთის ქვეყნების განთავისუფლების საქმეში. ქართველმა მელიტონ ქანთარიამ, ეგოროვთან ერთად, რაიხსტაგის თავზე საბჭოთა დროშა აღმართა.

ქართველმა მეომრებამ, მთელი ხალხის მხარდაჭერით, განსაკუთრებული ვაჟკაცობა და თავდადება გამოავლინეს კავკასიის დაცვისათვის როდესაც კბილებამდე შეიარაღებულ და საგანგებოდ გაწრთვნილ „ბერგმანის“ ნაწილები 1942 წლის ზაფხულში კავკასიის უღელტეხილებს მოადგნენ ხელთ იგდეს ქლუხორის და მარუხის გადმოსასვლელები, სოხუმსა და გუდაუთას 30-35 კილომეტრით დაუახლოვდნენ, მტერი მესტიისკენ გამოჭრას ცდილობდა... იალბუზის თავზე სვასტიკიანი დროშა აღმართეს.

გამოცხადდა სავალდებულო განვევა ფრონტისპირა რაიონებში. მთელი მოსახლეობა იქნა მობილიზებული, ზურგის მშრომელები დღედაღამ მუშაობდნენ თავდაცვის ზღუდეების ასაგებად. მეომრებისათვის დედები, დები, ახლობლები ათიათასობით ამანათს აგზავნიდნენ. ხალხმა თავის დანაზოგიდან მილიონობით მანეთი შეაგროვა თვითმფრინავების, ტანკების, საბრძოლო ტექნიკის და საჭურვლის შესაძენად. საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ფრონტისპირა რაიონებში წავიდნენ მწერლები, კულტურის და მეცნიერების მუშაკები. იმ ქარიშხლიან დღეებში, ჯარისკაცის სანგრებში დაწერა პოეტმა ირ. აბაშიძემ ლექსი კაპიტან ბუხაიძეზე, რომელიც მაშინვე საბრძოლო სიმღერად იქცა...

კავკასიის დასაცავად გმირულად იბრძოდნენ ქართველი, რუსი, უზბეკი, უკრაინელი და სხვა ეროვნების მებრძოლები. მათ ერთი ძალა—პატრიოტიზმი—სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული აერთიანებდა, რამაც განაპირობა მტერზე გამარჯვება.

დიდ სამამულო ომში, ჩვენმა რაიონმა, რომლის მოსახლეობა მაშინ 29 ათასს თუ აღწევდა, 7000 ჯანღონით სავსე ვაჟკაცი გაგზავნა. იყო ოჯახები, საიდანაც 4, 5, 6 მამაკაცი წავიდა ფრონტზე. ზოგიშელმა ფარნაოზ ჭოხონელიძემ, ლაილაშელმა დავით გურგუჩიანმა ექვს-ექვსი ვაჟიშვილი გაისტუმრეს ბრძოლაში, ხარაგაულელმა სანდრო კოპალიანმა და ღვარიშელმა დავით ჩხეტიანმა ხუთ-ხუთი შვილი. ასეთი ოჯახები ათეულობით იყო რაიონში. არც ერთ მამას აზრად არ მოსვლია თუნდაც ერთი ვაჟი ომს აერიდებინა...

ჩვენი რაიონის წარგზავნილები მამაცურად ებრძოდნენ მტერს თითქმის ყველა ფრონტზე, მაგრამ როცა ფაშისტური ჯარები საქართველოს საზღვრებს მიუახლოვდნენ, ლეჩხუმი სამხედრო ბანაკად იქცა. დამატებით გაიწვიეს ომში 2350 კაცი. ასობით მამაკაცი გამოვიდა საბრძოლო ზღუდეების ასაგებად. დღედაღამ მუშაობდნენ, მანქანებით მიჰქონდათ ტყვია-ნამალი და საბრძოლო ტექნიკა. მაღალ მთებში, სადაც მანქანები ვერ შედიოდა, სურსათი და მედიკამენტები ცხენებით და სახედრებით აჰქონდათ... მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. უკან დაიხია.

სამამულო ომში ჩვენი რაიონის ბევრმა მკვიდრმა ისახელა თავი. საგაზეთო წერილში მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. მე, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას.

არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი—საინჟინრო ჯარების მარშალი, სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი და მეცნიერი, სპათაგორში დაიბადა. იქ გაატარა ბავშვობა. საქართველოში დავაჟკაცდა. შემდგომ სამხედრო კარიერა, ომი, სახელი და დიდება არ მოკლებია. არჩილს და შემდგომ მის მემკვიდრეებს მშობლიურ კუთხესთან კავშირი არ გაუწყვეტიათ.

გენერალ-მაიორი გიორგი ყურაშვილი, ნიჭიერი მხედართმთავარი 414 ქართული დივიზიის მეთაური. ბრძოლის უმძიმეს წუთებშიც არ კარგავდა იუმორის გრძნობას. ჯარისკაცებს სანგრებში ამხნევებდა. სიმამაცეს და გამბედაობას შთაუნერგავდა იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი, წითელი ვარსკვლავის ოთხი, სუვოროვის და წითელი დროშის ორდენებით და მრავალი საბრძოლო მედლით.

ჩვენი რაიონის შვილები იყვნენ სახელმოხვეჭილი მხედართმთავრები—პოლკოვნიკები: გრიგოლ კანაჩაძე, კოტე მამარდაშვილი, შალვა დავითულიანი, ამბაკო გოლეთიანი, ვარლამ კაჭკაჭაშვილი, რომელთა სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა სამამულო ომის ისტორიაში.

ვაჟკაცურად ებრძოდნენ მტერს:

შოთა ლუარსაბის ძე ხეცურიანი—სახელგანთქმულ „კატიუშას“ გათვლის მეთაური. სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდერების კავალერი. ჩხუტელელი აკაკი ლავრენტის ძე მურცხვალაძე—ვარშავის განთავისუფლების მონაწილე, იბრძოდა ბერლინის ქუჩებში, შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს იაპონიის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი მედლით.

კონსტანტინე ალექსის ძე სილაგაძე—არტილერისტი. სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. გამარჯვებას ავსტრიაში შეეგება. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით.

სამშობლოს თავისუფლებას შეეწირა 3500-ზე მეტი ლეჩხუმელი ვაჟკაცის სიცოცხლე. მათი ძვლები გაფანტულია ევროპის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ზოგიშელი, ნიჭიერი პოეტი სევერიან ისიანი, არტილერისტი, იბრძოდა მოსკოვის, ლენინგრადის მისადგომებთან...ორიოლის ოლქში, ერთერთ ბრძოლაში, მტრის სამი ტანკი გაანადგურა, თვით სასიკვდილოდ დაიჭრა. აღსრულდა მისი სიტყვები:

„თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა.
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“.

სევერიან ისიანი სიკვდილის შემდეგ სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა უფროსი ლეიტენანტი შოთა გრიგოლის ძე ახვლედიანი. ომში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი დაჯილდოებული იყო დიდების პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით. ჩრდილო კავკასიის ბრძოლებში დაეცა ბატალიონის კომისარი სამსონ ალექსანდრეს ძე ყვირილიანი. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენით. პოლონეთის განთავისუფლებას შესწირა თავი ასეულის მეთაურმა გერონტი ბესარიონის ძე ჩაკვეტაძემ. სარდლობამ იგი სიკვდილის შემდეგ წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

(გაგრძელება გვ. 3)

სოფლის ხიდი დაუზრუნდა

უცხოს ალბათ არაფერს ვიტყვით—სტიქიურმა მოვლენებმა ისე დააზიანა ჩვენი რაიონი, რომ როგორც იტყვიან ჯერ კიდევ ვერ გაიმართა წელში ჩვენი სოფლები. ამის დასტურად ტელეარხ „იმედზე“ გასული სიუჟეტი „წერილი საქიოდან,“ რომელიც სოფელ უსახელოელთა გაჭირვებას ასახავდა, გამოდგება.

თუმც ასე ვერ იტყოდა იმ დღეს ოყურეშის შესასვლელთან თავშეყრილი საზოგადოება. სტიქიამ ოყურეშის ხიდი, რითაც სოფელი ცენტრალურ გზას უერთდებოდა, სრულიად გამოიყვანა მწყობრიდან. იმ დღიდან საკმაოდ კარგი ხანი გავიდა, წუხდა სოფელი, ჩიოდა გლეხკაცი ბუნების სისასტიკეზე და ელოდა ხიდს, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, თურმე უკრაინაში მზადდებოდა.

ის დღეც დადგა, როცა სოფელმა გასახარი ამბავი შეიტყო. ხიდი უკვე მზად იყო და დიდმა თუ პატარამ, მხარისა და რაიონის ხელმძღვანელობამ ცუდი ამინდის მიუხედავად სოფლის შესასვლელში მოიყარა თავი.

ხიდის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს მხარის გუბერნატორმა ბატონმა ოთარ სირაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა ავთანდილ სილაგაძემ, რაიონის გამგებელმა ვახტანგ კერესელიძემ, საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

• უდიდესი წვლილი ამ ხიდის მშენებლობაში მიუძღვით მშენებლებს, რომლებიც იმ დღეს მეგზევეთათვის ჩვეული თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ.

სიხარულის სხივი ედგა სოფელს, თითოეულ იქ მყოფ ლეჩხუმელს.

ეკა ყვირილიანი
მარინა სვანიძე

მკითხველის შემოქმედება

***

ფიქრებს გაფანტულს სადღაც,
ადევნებ ოცნების ძახილს
დამქანცველია სევდა
და სიმყუდროვე სახლის.

ვზივარ და ტკვე ვარ ფიქრის,
თითქოს, ვიღაცას ველი.
ისევ მარტო ვარ, მარტო,
მოდი ჩამჯიდე ხელი.

შეშლილი ჰკივის ქარი,
არსად სჩანს ნაცნობი მზერა
ნელარ მისტირი წარსულს,
თუკი მომავლის გჯერა,

ნყვდიადი ფარავს ზეცას
გული კი ფარხმალს არ ჰყრის
თვალი აჩერებს წრემლებს,
დაღლილ ნაბნამებს დახრის...

***

შვება ვიგრძენ__მთას და ველებს
იები მოსდებია.
ნეტავ, ჩემი ვარდები
როსლა აყვავდებიან?
გულში სევდას ჩამიქრობენ,
ნამლად დამედებიან.

მოსვლის პირობას მომცემენ
თუკი დღეს გამეყრებიან,
ნაზი, ცვრიანი ფურცლები
კალთაში ჩამეშლებიან.
იმათზე მოგონებები
ფიქრებად ამეშლებიან,
იმათი დანატოვარი
კვალნი არ ნამეშლებიან.

ნათია დაფნიანი

***

მიყვარხარ ძლიერ, მენატრები და მახსენდები,
ისევ შენი სილამაზით მომაგონდები,
ყოველთვის ფიქრი შენს თავს მახსენებს,
ვიცი წრემლები მე დამასველებს...

ამ ღამეს ნვიმაში ვიხეტიალებ
როცა შენს ფიქრში მე ვიტრიალებ.
ხომ არ დამიშლი მე შენზე ფიქრებს
უნდა მშვენიერ და ფერად სიზმრებს,
რადგან მიყვარხარ ძლიან ძლიერ.

***

ახლა ვზივარ და შენზე ფიქრში მე ვიძირები
როგორც ოდესღაც სანატრელი ვიყავი შენთვის,
სიზმრად გიყურებ ყოველ ღამე და მენატრები
ახლა ხომ მაინც გეყვარები შენ მე ყოველთვის,
ნეტა ჩემს მიმართ ეს გრძნობები არ იყოს ყალბი
ანდა ამაო, ნარმავლი და ჩემთვის ნაღდი..
დამეძინება და მე წრემლით დავნამავ ბალიშს,
ვიცი შენ ამას ვერ მიხვდები „მიყვარხარ" მაინც,
ახლა ვიტირებ და ყველაფრის დავკარგავ ხალისს.
ლამაზ ოცნებას ვერ დამიშლი გინდოდეს მაინც
იცოდე, მანამ არ დაგივინყებ, სანამ დავკარგავ ცხოვ-
რების ხალისს.

ს.ბ.

დაბნელებულმა მგელმა კგლაგ გამოანათა

ნათელი დილა.
კრიალა ცა.
მხიარული, ალერსიანი მზე.
შუადღეა, თბილა...
უცრად... ჩამუქებული ცა.. დაპატარავებული, თითქოს
შეცბუნებული მზე.. გაკვირვებული ადამიანები.
ცვა რამდენსამე ხანს, დაბნელდა სრულიად..
ადამიანთ შეშფოთებული ამოძახილი ისმის ირგვლივ..
მზეს შემტერებული თვალები... მთელს დედამინაზე
ადამიანები ერთად იცქირებიან მაღლა, ცაში, მზისკენ.
ზოგი დაბურული მინით, ზოგი მზის სათვალით
შესცქერის ამ საოცარ მოვლენას.
მალევე დათბა. გაბრწყინდა მზე, განათდა...
გაიხარა ყველამ...
შვებით ამოისუნთქა დედამინამ...
ადამიანები ამბობენ, რომ ასეთი სიცხადით მზის დაბნე-
ლება არასდროს უნახავთ...
მზე კი ისევ მხიარული, უდარდელად მიგორავს ცაზე
და ალერსიან სხივებში ხვევს დედამინას.

აბაბი ბენდელიანი,
ქვედა ცაგერის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე

ეს ჩვენი ცარსულია

ლაწყლოსნ

+

მურის ხიდთან, ცხენისწყლის მარჯვნივ, სალ კლდეზე, არის ძველი ნაციხარი. ახლა ციხის კედლები დანგრეულია. მარგო საძირკვლებია დარჩენილი.

წინად ამ სიმაგრეს რაგვის ციხე ერქვა.

ერთ დროს რაგვის ციხეს კაცო განაგებდა. ის იცავდა ცაგერის გზას, მურის ციხის მისადგომს. ყველაზე უწინ მტერს აქ შენიშნავდნენ და ომს გაუმართავდნენ.

კაცო მტრის თავდასხმას მურის ციხეს აცნობებდა. მურის ციხე ღვთისავარს ებარა.

ღვთისავარი გმირი იყო. თვალტანადობით მას ვერავინ შეედრებოდა, დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მისი ჯარი საომრად მუდამ მზად იყო.

კაცოს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი დარა. სილამაზით განთქმულ დარას მამა ფრთხილად ინახავდა, ქალს ვერავინ უახლოვდებოდა.

ღვთისავარს მოსწონდა დარა. მის გულს დარას სიყვარულის ცეცხლი სწვავდა.

ქალის ნახვა და მისთვის საიდუმლოს განდობა არ შეეძლო. თავის გულისთქმას კაცოსაც ვერ უმხელდა.

კაცოს სიძედ დიდი გვარიშვილი უნდოდა. ღვთისავარი კი გლეხი იყო. ეს იცოდა ღვთისავარმა და იტანჯებოდა.

ერთ ზაფხულზე ხმა გავრცელდა: თათარმა ომი გამოგვიცხადაო.

ვისაც ბრძოლა შეეძლო იარაღი აისხა. ომი დაიწყო.

მტერი მოადგა ქუთაისს. იმერლები თათრებს ქლეტდნენ, მაგრამ ისინი თანდათან მაგულობდნენ. ქართველები მტერს არ ემორჩილებოდნენ. მამულს ბევრი მსხვერპლად შეეწირა.

თათრები რიონსა და ლაჯანურის ხეობებით ლეჩხუმში შემოვიდნენ. შეიქნა ხოცვა-ყლეტა.

მტრის ჯარს წინ სისხლისმსმელი სელიმ ფაშა მოუძღოდა.

მოუახლოვდნენ ორბელის ციხეს. აქ ლეჩხუმის ჯარი იდგა. სამი დღე-ღამე იბრძოლეს. მტერმა ციხე დაიკავა.

თათრებმა მურის ციხის აღება ერთი კვირით გადადეს.

ფაშამ მისწერა წიგნი კაცოს. გავიგე, რომ ლამაზი ქალიშვილი გყავს, თუ გინდა, რომ არ გაიყლიტოს შენი ხალხი, მომეცი ის ცოლად, უარის თქმა არ გაბედო, თორემ ვერავინ დაგიხსნისო.

კაცომ წიგნი წაიკითხა, ბევრი იფიქრა, დაიბნა ღვთისავარი და უთხარ: რას მირჩევ, როგორ მოვიქცეთო?

ღვთისავარს ცეცხლი შემოენთო, ჯავრმა დაამწუხრა. ბოლოს თქვა: დარას ეკითხოთო.

მამამ მოიხმო დარა. უთხრა_შენს თავს მთხოვს სელიმ ფაშა და გეპირდება აღარ აგიკლებთო, თუმცა ჩემთვის ამის შემდეგ სიკვდილი სჯობსო.

ღვთისავარი შიშმა აიტანა, დარა გათხოვებაზე არ დათანხმდესო.

დარამ შეხედა ღვთისავარს და მამას მიუბრუნდა:

შეუთვალე მარგო მოვიდეს, გვანახოს თავი, თუ მომეწონა, გავყვებიო.

_რომ არ მოგეწონოს, რაღა ვიღონოთო?_ჰკითხა კაციმ.

_ის, რომ მცირე ჯარით მოვა, თუ უარი ვთქვი და იწყინა, რაც დაგვაკლებს, ღვთისავარი აქ არა გვყვასო?

ღვთისავარი დამშვიდდა, იმედი მიეცა.

კაცომ ფაშას შეუთვალა: მობრძანდიო!

კაცომ უთხრა ღვთისავარს: ვიცი, დარა უარს იტყვის, ფაშა განრისხდება, ომი მოგველის, ხვალისთვის მოემზადეო!

ღვთისავარმა მურის ციხის გალავნში ჯარი დააყენა. თან სვანებიც ჰყავდა. ყველა მეომარი ვაჟკაცი იყო გამოცდილი.

ღვთისავარმა ერთი სვანი გაგზავნა კაცისთან. დარა თუ უარს იტყოდა, ის აცნობებდა. ღვთისავარი დარას თავს შესწირავდა.

სვანმა დაუბარა ღვთისავარს:_ციხიდან მე სვანურად დავიძახებ, აქ ჩვენები გაიგონებენ და აგისხნიანო.

მეორე დღეს სელიმ ფაშა გადმობრძანდა. ტანად მაღალი იყო. სახით შავ ნადირს ჰგავდა,

ორმოცი კაცი ახლდა. ყველა შავი და წვერშეღებილი. თეთრი კბილები მოუჩანდათ. თავზე ჩალმები ეხურათ.

დარბაზში შევიდნენ და მოისვენეს. დარას ნახვამ ფაშა გაახარა. გადაწყვიტა, რომ ცოლად შეერთო.

_მე თქვენს მხარეს აღარ ვებრძვიო,_თქვა.

დარამ უთხრა: _ვერ გავყვები, სახე ეშმაკს მიგიგავს, ქაჯივით შემოსილხარ და გულს არ გამოიცვლიო.

სვანმა მოისმინა ყველაფერი, რასაც დარა ამბობდა, იმან მაღალი ხმით გადასძახა მურის ციხეს: „ლაწუნდარა".

სვანებმა რომ გაიგონეს, ღვთისავარს გადაუთარგმნეს: დარამ ფაშა დაიწუნაო.

ღვთისავარმა თავისი ჯარი რაგვის ციხისაკენ წაიყვანა.

ამ დროს ფაშა გამოვიდა. თან მხლებლებიც მიჰყვებოდნენ. ბანაკისკენ გასწიეს. ჯარის სიმცირის გამო ომი არ შეეძლოთ.

ცხენისწყლის ნაპირზე ფაშას წინ შემოხვდა ღვთისავარი. მტერს გარს შემოერტყნენ და სისხლის ღვარი დააყენეს.

ღვთისავარმა ფაშა მოკლა.

თათრებმა გაიგეს ფაშას სიკვდილი, მიატოვეს ორბელის ციხე და უგზო-უკელოდ დაიბნენ.

ბრძოლა დამთავრდა კაცომ ღვთისავარს გამარჯვება მიულოცა და ცოლად თავისი დარა გაატანა.

ნაციხარს დღესაც „დაწუნდარა" ეწოდება.

მიხეილ ალავიძის ქრებულიდან „ვეპირსიტყვაობა"
მასალა მოგვაწოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
დირექტორმა ოთარ ჭაბუკიანმა

თამაზ სილაგაძის ხსოვნა!

ორმოცი დღე გავიდა გარდაცვალებიდან. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. მართლაც ძნელი ყოფილა უშენობა (რაჟდენიჩ). უკეთილშობილესი ადამიანი იყავი. აუწერელია მწუხარება შენს ოჯახში. რომელმაც უდროოდ დაკარგა მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა, ჩვენ კი_საუკეთესო მეზობელი. გულწრფელი ცრემლებით დაგიტირეს ახლობლებმა და მეგობრებმა. გიხსენებთ და გვიძნელდება ფიქრი, რომ აღარ ხარ, მაგრამ შენ დარჩი ჩვენს გულებში ლამაზ მოგონებად, რომელიც სიკვდილში აგრძელებს სიცოცხლეს.

დაე, ყველა ჩვენგანის ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადისობაში.

შენი უახლოესი მეზობლები:
ნუკრი საღინაძე, ბადრი კილაძე,
ალუდა კვირიკაშვილი.

გივი, ზაურ ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბოჩა რომანის ძე ახვლედიანი

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურად ლიპარტელიანს შვილის

ოტია ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ხათუნა ლიპარტელიანს და მურად ლიპარტელიანის ოჯახს

ოტია მურთაზის ძე ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ყოფილი კინოფიკაციის თანამშრომლები პიერ ფუტკარაძე, ამირან ხეცურიანი, თამაზ, ზურაბ ბენდელიანები, ავთო, მარინა ხაბულიანი, ჯანიკო კვირიკაშვილი, თემურ, მარინა შკუბულიანები, იზოლდა კაჭკაჭიშვილი, ნელი ლეთოდიანი, ჯამლეტ ნემსაძე, ნანა ბატიაშვილი, ციალა გობეჯიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ (ჯუჯა) პოლიშკას ძე თაგვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაიონის სპორტსმენები ქვეყნის სპორტულ სარბიელზე



შალვა მეგრელი

დაბადებული 1987 წელს ცაგერში. საქართველოს სპორტის აკადემიის II კურსის სტუდენტი. საქართველოს III პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

ქ. თბილისის 2006 წლის ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. ვარჯიშობს ქ. თბილისში დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრში, არის პერსპექტიული მოჭიდავე.

მისი მიზანია–გახდეს სახელოვანი მოჭიდავე.

ჰობი–ნადირობა.

საინტერესო სიახლე

ცაგერში იქმნება ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა

ბავშვთა სახალხო ფეხბურთის სკოლები ყალიბდება დანიის საფეხბურთო ასოციაციაში შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონ **ვალერი გიორგობიანის,** რაიონის გამგებლის ბატონ **ვახტანგ კერესელიძის** თანადგომით შესაძლებელი გახდა აღნიშნული საერთაშორისო პროგრამის განხორციელება ცაგერის რაიონში, რომელიც იგეგმება ზაფხულის პერიოდში.

სკოლაში გაერთიანდებიან ბავშვები (ბიჭები და გოგონები) 7-დან 12 წლის ჩათვლით.

მუსიკა, სპორტული ვარჯიშები და მცირე თამაშები, მასობრიობა არის მიზანი, რომელიც თან ახლავს ამ საინტერესო პროგრამის განხორციელებას.

ბავშვები საჩუქრად მიიღებენ სპორტულ ფორმებს, ბურთებს. ღონისძიებაში მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან ერთჯერადი კვებით.

რაიონის სპორტს ეხმაროებით

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია დაინტერესებულია ლეჩხუმში სპორტის ამ პოპულარული სახეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა ფედერაციის პრეზიდენტის წარმოშობით ლეჩხუმელის **ბატონ ლევან ახვლედიანის** კეთილი ნების ჟესტი–რაიონის სპორტკომიტეტს საჩუქრად გადაეცა 300 (სამასი) დოლარის სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ფრენბურთის სხვადასხვა შეჯიბრებების ჩატარებისათვის, ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის რაიონის ნაკრები გუნდის მოსამზადებლად.

დიდი მადლობა ბატონ ლევანს!

რაიონული ტურნირები გრძელდება

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში 18 მონაწილეთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა.

I–ადგილი გოჩა მუშკუდიანი (ლასურიაში).

II–ადგილი გიორგი თოთაძე (ცაგერის საშუალო სკოლა).

III–ადგილი ლაშა ლიპარტელიანი (ქვედა ცაგერი).

გიორგი ჯვირიკაშვილი

რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

სპორტი, სპორტი, სპორტი

საბრძოლო ფრე

ვიტალი დარასელიას თასის გათამაშება ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის ზონა.

24 მარტი

ცაგერის სტადიონი –400 მაყურებელი

„ხვამლი“ ცაგერი–„მამისონი“ ონი 3:3 (2:1) ტრადიციულ მეტოქეთა მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სტუმრები უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ, თუმცა „ხვამლის“ კონტრშეტევები გააზრებული და მწვავე იყო.

პირველი ტაიმის მე-18 წუთზე თავი გამოიჩინა მასპინძელთა კაპიტანმა ვეგო ყურაშვილმა, რომელმაც მარჯვენა ფრთიდან გვერდი აუარა „მამისონის“ რამდენიმე მოთამაშეს და ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა დათო საღინაძე რომლის დარტყმა უნაკალური აღმოჩნდა **1:0 „ხვამლის“** სასარგებლოდ. გაშვებულმა გოლმა სტუმრები გამოაცოცხლა, რასაც მალე მოჰყვა შედეგი. დაინიშნა ჯარიმა, რომელიც ოსტატურად შეასრულა „მამისონის“ თავდამსხმელმა 1:1.

ტაიმის ბოლოს „ხვამლი“ ისევ დაწინაურდა, თერთმეტმეტრიანი დარტყმით გოლი ლევან საღინაძემ გაიტანა 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

შეხვედრის მეორე ნახევარი განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა, ორივე გუნდი ცდილობდა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენას. „ხვამლს“ მეტი საგოლე მომენტი ჰქონდა თუმცა ფეხბურთში, როგორც ხშირად ხდება გოლი სტუმრებმა გაიტანეს და თამაში გათანაბრდა 2:2.

„ხვამლი“ კვლავ აბობოქრდა“. სტუმართა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ირაკლი სილაგაძის მიერ დარტყმული საჯარიმო დარტყმა ძელმა მოიგერია.

ამ მომენტში კვლავ ვეგო ყურაშვილმა ისახელა თავი მოედნის ცენტრში ოსტატურად აუარა გვერდი მეტოქის რამდენიმე მოთამაშეს და მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ლევან ხეცურიანი ამ უკანასკნელს მეტი რა დარჩენოდა 3:2 „ხვამლი“ კვლავ დაწინაურდა.

დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია მატჩის არბიტრს მოუწია მოედანზე წესრიგის დამყარება. განსაკუთრებით სტუმრები ნერვიულობდნენ.

თუმცა მათი წუხილი ხანმოკლე აღმოჩნდა. თამაშის ბოლო წუთზე ისევ სტანდარტული მდგომარეობიდან ცაგერელთა კარში საოცარი გოლი გავიდა 3:3 ასე დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა. მატჩის შემდეგ მოთამაშე გუნდების მწვრთნელებმა მოსაზრებები გაცვალეს:

ენრიკო ჩიგალაძე („მამისონი“–ონი)–დაძაბული შეხვედრა გამოდგა, სასიხარულოა როცა ჩვენს რეგიონში ასეთი კარგი გუნდები გვყავს.

ძალიან მომეწონა თქვენი გუნდის ათი ნომერი და საერთოდ „ხვამლს“ გისურვებთ წარმატებებს.

პორფილე კოპალიანი („ხვამლი“-ცაგერი)–უკმაყოფილო ვარ იმით, რომ ბოლო წამებზე გავუშვით ხელიდან მოგება, თუმცა მეორე წრეში პირველი მატჩი ვითამაშეთ, თანაც ძლიერ მეტოქესთან, გვჯერა, დასახულ მიზანს წარმატებით განვახორციელებთ, მადლობა სტუმრებს ოსტატური, ჯიგრიანი თამაშისთვის.

გ. ჯვირიკაშვილი

სიბრძნის საგანძურიდან

„ცხოვრება უცნაურია, იქნებ მშვენიერიც სწორედ ამიტომ არის“.

▪▪▪

„თვალი სულის სარკმელია“.

▪▪▪

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუმც დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.

▪▪▪

„რა მცირე მანძილია სიყმაწვილესა და სიბერეს შორის“.

▪▪▪

„ერთი მიზეზი დამისახელეთ, რისთვის ღირს სიცოცხლე“.

▪▪▪

„შიში უფლისაჯ წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე“.

ფოტოგანწყობისათვის

ვულოცავთ!

ხათუნა, დათო საღინაძეებს!

გილოცავთ ვაჟიშვილის–საბას შეძენას. გაზრდილიყოს ოჯახის და ქვეყნის სასახელო შვილი.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

***

ნათია ჯვირიკაშვილს! რომეო კალანდაძეს!

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული არ მოგაკლოთ ღმერთმა. გამრავლდით, გაიხარეთ.

რომეოს თანაკლასელები

***

ნატო მუშკულიანს! მირიან ჩაკვეტაძეს!

გილოცავთ ბედნიერებას, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ეკა ყვირილიანი

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499